სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 30

2014 წლის 02 აპრილი

ქ. თბილისი

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის " ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის" 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის" ფარგლებში ორგანიზებული კონკურსის „კვლევითი გრანტების პროგრამა" დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 18 მარტის N32/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,ე", ე¹" და ,,თ" ქვეპუნქტებისა და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს 25 თებერვლის N03 სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა

და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის” 2014 წლის კონკურსი.

2. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის” 2014 წლის კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის” 2014 წლის კონკურსში წარსადგენი პროექტის რეზიუმეს ფორმა ამ ბრძანების დანართი №2- ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის” 2014 წლის კონკურსში წარდგენილი პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის”2014 წლის კონკურსში პროექტის წარმდგენი აპლიკანტისა და საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად.
6. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge;
7. ბრძანება ძალაშია მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

სულხან სისაური

დანართი N1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 2 აპრილის №30 ბრძანებით

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის” 2014 წლის კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (CRDF -Global), საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში აცხადებენ ერთობლივ კონკურსს (შემდგომში – კონკურსი) ”კვლევითი გრანტების პროგრამა”.
2. კონკურსის მიზანია: ხელი შეუწყოს მაღალი დონის, ინოვაციური ხასიათის ბიოლოგიურ კვლევას, რომელიც წარმოადგენს აშშ-ს თავდაცვისა და საფრთხეების შემცირების სააგენტოსა (შემდგომში - DTRA) და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების საერთო ინტერესის სფეროს, შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან და DTRA-ს ერთობლივი ბიოლოგიური ჩართულობის პროგრამის (შემდგომში - CBEP) მიზნებთან და კვლევით პრიორიტეტებთან (იხ. ბმული: www.grdf.ge).
3. კონკურსზე წარდგენილი პროექტი არ უნდა უკავშირდებოდეს თავდაცვისა და სამხედო თემატიკაზე ორიენტირებულ კვლევას და უნდა განხორციელდეს სამოქალაქო კვლევით გარემოში.
4. პროექტს სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს მოქალაქე.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსს ადმინისტრირებას ერთობლივად უწევენ ფონდი, CRDF Global-ი და სსგფ.
2. პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი და CRDF Global-ი.
3. ფონდი:

ა) უზრუნველყოფს CRDF Global-სა და სსგფ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამოცხადებას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) უზრუნველყოფს CRDF Global-სა და სსგფ-სთან შეთანხმებით კონკურსის გამართვის წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

გ) უზრუნველყოფს CRDF Global-თან და სსგფ-სთან ერთად გამარჯვებული პროექტის დაფინანსებასა და მისი შესრულების მონიტორინგს.

მუხლი 3. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტს წარადგენს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი საბაზო ორგანიზაციასა და თანამონაწილე ორგანიზაციასთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაცია შესაძლოა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ პროექტის შესრულებისთვის სათანადო აღჭურვილობისა და სამუშაო გამოცდილების მქონე დაწესებულებებს.

4. საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

5. საბაზო ორგანიზაცია ფონდს წარუდგენს პროექტის მიმდინარეობისა და ფონდიდან მიღებული თანხების ხარჯვის ანგარიშს ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად.

6. პროექტში დაგეგმილი კვლევა სრულდება საბაზო ორგანიზაციაში. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, პროექტის გარკვეული ნაწილი შეიძლება შესრულდეს თანამონაწილე ორგანიზაციაში/ორგანიზაციებში.

7. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, საქართველოს მოქალაქე, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის მომზადებას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია როგორც პროექტის შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე.

8. ქართული ჯგუფი შედგება ძირითადი და საჭიროების შემთხვევაში, დამხმარე პერსონალისაგან. ძირიდათადი პერსონალი ახორციელებს პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს, ხოლო დამხმარე პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ძირითად პერსონალს ტექნიკური პრობლემების მოგვარებაში.

9. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და ძირითადი პერსონალი უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და მუდმივად ცხოვრობდნენ საქართველოში პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში.

10. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ქართული ჯგუფის მონაწილეები (ძირითადი პერსონალი), საბაზო და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენენ გრანტის მიმღებს.

მუხლი 4. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. CRDF – Global-ის და ფონდის მიერ შესაძლებელია არაუმეტეს 2 პროექტის დაფინანსება. თითოეული პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს. ერთი პროექტის ამერიკული მხრიდან დაფინანსება შეადგენს მაქსიმუმ 100 000 აშშ დოლარს, ხოლო ფონდის მხრიდან მაქსიმუმ 70 000 ლარს.
2. პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს რეგიონალურ ან საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობას, მაგრამ კვლევის უმეტესი ნაწილი უნდა განხორციელდეს საქართველოში და მთლიანი დაფინანსების მინიმუმ 75% უნდა გამოეყოს ქართულ ჯგუფს.
3. ფონდის მხრიდან პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთწლიანი ტრანშების სახით. თითოეული ტრანშის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 35 000 ლარს. საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ პროექტისთვის გახსნილ საბანკო ანგარიშებზე.
4. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ქართული ჯგუფის ძირითად პერსონალს მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

მუხლი 5. ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება

1. ფონდის მხრიდან პროექტის დაფინანსება შესაძლოა ითვალისწინებდეს როგორც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, ასევე არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებს:

ა) გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირთა საგრანტო დაფინანსება;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;

გ) მივლინება: სამივლინებო ხარჯები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განისაზღვრება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად;

დ) საქონელი და მომსახურება: „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, საქონელი და მომსახურების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები. აღნიშნული მუხლი არ უნდა ითვალისწინებდეს მივლინების ხარჯებს.

ე) არაფინანასური აქტივები: აღნიშნული კატეგორია გულისხმობს, ძირითადი აქტივის შეძენის ხარჯს, რომელთა საექსპლოატაციო ვადა აღემატება ერთ წელს, მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება მომსახურების პროცესში და ერთეულის ღირებულება შეადგენს 500 ლარს და მეტს და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების გაწევას.

ვ) ზედნადები ხარჯები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მიღებული დაფინანსების 10%-ს.

2. საგრანტო დაფინანსებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, შენობა ნაგებობის კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

მუხლი 6. კონკურსის ძირითადი ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:
ა) კონკურსის გამოცხადება;
ბ) პროექტების ფონდში, CRDF Global და სსგფ-ში წარდგენა;
გ) შემოსული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა CRDF Global-ის მიერ;
დ) კონკურსის პირველ ეტაპზე მოკლე ფორმის მიხედვით მომზადებული პროექტის კონცეფციის განხილვა CRDF Global-ის ექსპერტების მიერ.
ე) კონკურსის მეორე ეტაპზე გასული სრული ფორმის მიხედვით მომზადებული პროექტების შეფასება CRDF Global-ის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად.
ვ) მეორე ეტაპზე დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების შესახებ ინფორმაციის ფონდისათვის მოწოდება CRDF Global-ის/სსგფ-ს მიერ;
ზ) გამარჯვებული პროექტების დასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის სამეცნიერო საბჭოს და CRDF Global-ის მიერ;
თ) ფონდის მიერ გამარჯვებულებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ფონდში წარდგენილ უნდა იქნეს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დანართი 2-ის მიხედვით შევსებული პროექტის რეზიუმე ქართულ ენაზე (ელექტრონული ფოსტით მისამართზე: international@rustaveli.org.ge). ხოლო ინგლისურ ენაზე მომზადებული პროექტის კონცეფციის მოკლე ფორმა წარდგენილ უნდა იქნეს ფონდში, CRDF Global-სა და სსგფ–ში. ინგლისურენოვანი აპლიკაციის ფორმა ხელმისაწვდომია სსგფ-სა

(www.grdf.ge) და CRDF Global-ის (www.crdfglobal.org) ვებგვერდებზე, პროგრამის სრული ინსტრუქციის ინგლისურენოვან ვერსიასთან ერთად.

2. საპროექტო წინადადებების ფონდში, CRDF Global-სა და სსგფ–ში წარდგენა შესაძლებელია 2014 წლის 2 აპრილიდან 2014 წლის 2 მაისის 23.59 საათამდე აშშ აღმოსავლეთის დროით (US Eastern Time).

3. საპროექტო წინადადებები ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი უნდა იქნას:

ა) CRDF Global-ში ელექტრონული ფოსტით მისამართზე: Georgia@crdfglobal.org ;

ბ) ფონდში ელექტრონული ფოსტით მისამართზე: international@rustaveli.org.ge;

გ) სსგფ–ში ელექტრონული ფოსტით მისამართზე niko@grdf.ge.

4. ამასთან ფონდში კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იყოს კონკურსში მონაწილეობის შესახებ პროექტის მონაწილე აპლიკანტისა და საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაცი(ებ)ის ერთობლივი განცხადება - დანართი 4 (შესაბამისი ხელმოწერებითა და ორგანიზაცი(ებ)ის ბეჭდ(ებ)ით დამოწმებული) არაუგვიანეს 2014 წლის 7 მაისის 18:00 საათისა.

5. საპროექტო წინადადებების კონკურსზე დაშვების შესახებ ოფიციალური დასტურის ან უარის თაობაზე კონკურსის მონაწილეებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტით.

6. კონკურსის მეორე ეტაპზე მიწვეულმა აპლიკანტებმა სრული საკონკურსო განაცხადი (ინგლისურ ენაზე) უნდა გაგზავნონ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: Georgia @crdfglobal.org; niko@grdf.ge; international@rustaveli.org.ge. სააპლიკაციო ფორმები და წარდგენის სრული ინსტრუქცია ელექტრონული ფოსტით გაეგზავნებათ მეორე ეტაპზე მიწვეულ აპლიკანტებს CRDF Global-ისა და სსგფ-ის მიერ.

7. კონკურსში მონაწილეობისთვის სრული განაცხადები წარდგენილ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2014 წლის 4 ივლისის 23.59 საათისა აშშ აღმოსავლეთის დროით (US Eastern Time).

8. შეფასების მეორე ეტაპზე გადასულმა კონკურსანტებმა ფონდში სრულ საკონკურსო განაცხადთან (ინგლისურ ენაზე) ერთად ასევე უნდა წარმოადგინონ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული დანართი 3-ის მიხედვით შევსებული პროექტის ბიუჯეტის ფორმა, ფონდიდან მოთხოვნილ დაფინანსებაზე (ელექტრონული ფოსტით მისამართზე international@rustaveli.org.ge) არაუგვიანეს 2014 წლის 4 ივლისის 23.59 საათისა აშშ აღმოსავლეთის დროით (US Eastern Time).

9. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

10. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება და პროექტის მონიტორინგი ფონდის მიერ

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გრანტის მიმღებ საბაზო ორგანიზაციასთან, გრანტის მიმღებ თანამონაწილე ორგანიზაციასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირებთან.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე გრანტის მიმღები საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაცია ფონდს წარუდგენს წერილობით დადასტურებას იმის შესახებ, რომ არა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება, არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. ასევე ცნობა ბანკიდან მის არსებულ ანგარიშებზე საინკასო დავალებების არარსებობის შესახებ.

3. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღები საბაზო ორგანიზაციისა და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მეორე საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, არა უგვიანეს 20 დღით ადრე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ბიუჯეტში განახორციელოს ცვლილება.

4.საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

5.ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან.

6. პროგრამული მონიტორინგი ხორციელდება გრანტის მიმღებთა მიერ მიწოდებულ წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე.

7. პროექტის შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად თუ პროექტის ფარგლებში ფონდის მიერ ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში წარდგენილია ანგარიშები, დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

დანართი N2
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 2 აპრილის №30 ბრძანებით

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -GLOBAL), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული
„კვლევითი გრანტების პროგრამა”

პროექტის რეზიუმე

წარმოადგინეთ პროექტის რეზიუმე – არაუმეტეს 200 სიტყვისა.

დანართი N3
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 2 აპრილი N30ბრძანებით

(ითვალისწინებს მხოლოდ ფონდიდან მოთხოვნილ თანხაზე)

№	ხარჯის კატეგორია	I საანგარიშო პერიოდი	II საანგარიშო პერიოდი	სულ ლარი
1	გრანტის მიმღებ ფიზიკურ პირთა საგრანტო დაფინანსება	-	-	-
1.1.	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-
1.2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-
		-	-	
		-	-	
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება	-	-	-
2.1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-
2.2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-
3	მივლინება	-	-	-
3,1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-
3,2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-
4	საქონელი და მომსახურება	-	-	-
4,1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-
4,2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-
5	არაფინანსური აქტივები	-	-	-
5,1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-
5,2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-
6	ზედნადები ხარჯი	-	-	-
6,1	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-
6,2	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-
	სულ	-	-	-
	მ.შ. წამყვანი ორგანიზაცია	-	-	-
	მ.შ. თანამონაწილე ორგანიზაცია	-	-	-

მე-4 და მე-5 მუხლებში შესასყიდი საქონელი უნდა მიეთითოს ერთეულის ფასისა და რაოდენობის მითითების გაერშე

დანართი N4
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2014 წლის 2 აპრილის №30 ბრძანებით

აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის" 2014 წლის კონკურსში
მონაწილეობის შესახებ აპლიკანტისა და საბაზო/თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელის ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ქვემოხელისმომწერნი, წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით „აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული კონკურსის „კვლევითი გრანტების პროგრამა"დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 18 მარტის N32/ნ ბრძანებას, აგრეთვე, სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებას აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში ორგანიზებული „კვლევითი გრანტების პროგრამის" 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდში წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი პროექტი აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) „კვლევითი გრანტების პროგრამა" 2014 წლის კონკურსის ერთობლივი გრანტის მისაღებად.

1. პროექტის სახელწოდება:

2. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარში) ----------

თანადაფინანსება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ----------

3. პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):

4. პროექტის წარმომდგენები:

საბაზო ორგანიზაცია		ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი:

თანამონაწილე ორგანიზაცია	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი:

	აპლიკანტი (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
1.			